ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N36

29.03.2024 წელი
11:00 საათი

ქალაქ თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
ბიუროს სხდომათა დარბაზი

მიმდინარე წლის 29 მარტს, 11:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ორი კომისიის გაერთიანებული სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: **გურამ ოქროპირიძე** (კომისიის თავმჯდომარე), **გივი ჩხარტიშვილი** (კომისიის წევრი), **ვლადიმერ ბოჟაძე** (კომისიის წევრი) და **ნინო კვიტაიშვილი** (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი **გაიოზ თალაკვაძე,** ამავე სამსახურის უფროსის მოადგილე **ლევან მიქავა,** საკრებულოს წევრები და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 4 (ოთხი) წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის N33-89 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი *(საფუძველი წერილი #12-032408771-03, 27.03.2023წ.),*
   მომხსენებელი - გაიოზ თალაკვაძე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი.
2. **,,ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზირი N15-ში, მე-6 სართულზე არსებული 2449.77 კვ.მ. ფართიდან (საკადასტრო კოდი: N01.12.09.021.005.01.502) 600.9 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით ააიპ - საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციისთვის (ს/ნ: 204889282) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი *(საფუძველი წერილი #12-032408780-03, 27.03.2023წ.),*
   მომხსენებელი - გურამ ოქროპირიძე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე.

სხდომა წარიმართა **განათლებისა და კულტურის კომისიასთან** ერთად.

კომისიების გაერთიანებულ სხდომას უძღვებოდა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **გურამ ოქროპირიძე.**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დადგენილების პროექტში შესატანი ცვლილებების შესახებ ინფორმაცია, კომისიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა წარუდგინა.

გაიოზ თალაკვაძე - მოგესალმებით, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება 4 000,0 ათასი ლარით და შეადგენს 2 008 389,6 ათას ლარს. 50,0 ათასი ლარი აკლდება სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლიდან მისაღებ შემოსავლებს, რადგან აღნიშნული მიმართულება სრულად გადავიდა თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში. პროცენტები იზრდება 4 050,0 ათასი ლარის ოდენობით. გარდა ამისა მთლიანობაში გახლავთ ბიუჯეტის შიდა გადანაწილებები, თანხა აკლდება რუსთაველის გამზირის რეაბილიტაციის პროექტს, ვინაიდან პროექტი მრავალწლიანია, ასევე ვადის გახანგრძლივების გამო თანხა აკლდება დიღმის მასივში მულტიფუნქციური ცენტრის მშენებლობას. აღნიშნული თანხები ნაწილდება შემდეგი მიმართულებით:

იზრდება გზების მოვლა-შეკეთება მთაწმინდის რაიონში (კოდი 01 01 17) - 200,0 ათასი ლარით, სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა, ლაბორატორიული კვლევები და სხვა ღონისძიებები (კოდი 02 03 02) - 600,0 ათასი ლარით, რაც მოხმარდება სხვადასხვა მანქანა-დანადგარების შეძენას. უკანონო ნაგებობების დემონტაჟი (კოდი 02 09 09) – 300,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის (კოდი 02 09 12) – 2 500,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ჩუღურეთის (კოდი 02 09 13) – 500,0 ათასი ლარით, რაც მოხმარდება ავარიული სახლის გამაგრებას. კეთილმოწყობის ღონისძიებები ვაკის (კოდი 02 09 15) – 1000,0 ათასი ლარით, რაც მოხმარდება ნუცუბიძის ფერდობზე საყრდენი კედლის მშენებლობას, რომელიც დაზიანებულია. დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები დიდუბის რაიონში (კოდი 06 02 16 09) – 550,0 ათასი ლარით, რაც მოხმარდება დაზიანებული კორპუსიდან ქირით გაყვანას, მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 07 03 03) – 450,0 ათასი ლარით, იურიდიული კლინიკა (კოდი 07 05 02) – 14,5 ათასი ლარით, პანტომიმის სახელმწიფო თეატრი (კოდი 08 01 02) – 44,1 ათასი ლარით, საკონცერტო ორკესტრი "ბიგ-ბენდი" (კოდი 08 04 01) – 24,8 ათასი ლარით, ხელოვნების ძეგლებისა და პანთეონების მოვლა პატრონობა (კოდი 08 04 03) – 53,1 ათასი ლარით, კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა (კოდი 08 05) პროგრამის ასიგნებები - 2 475,3 ათასი ლარით, საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა (კოდი 08 10) პროგრამის ასიგნებები - 60,0 ათასი ლარით, სარეზერვო ფონდი (კოდი 10 22) - 300,0 ათასი ლარით.

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

აზრი გამოთქვეს:

გურამ ოქროპირიძე - თანხის გადატანა ეხება დიღმის მასივში ასაშენებელ ახალ მულტიფუნქციურ ცენტრს, რომელიც დიდუბის რაიონში 147-ე საჯარო სკოლის მიმდებარედ უნდა აშენდეს, ძველი სპორტული ცენტრის ტერიტორიაზე, რაც შეეხება დიდ დიღომში, საბურთალოს რაიონში, მულტიფუნქციური ცენტრის სამშენებლო სამუშაოების პირველი ეტაპი უკვე დასრულებულია და მალე ველოდებით მის გახსნას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის N33-89 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" საკითხი,

მომხრე - გურამ ოქროპირიძე, გივი ჩხარტიშვილი, ვლადიმერ ბოჟაძე- (3),

წინააღმდეგი - (0),

თავი შეიკავა - ნინო კვიტაიშვილი (1).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტა:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის N33-89 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი პირდაპირი განკარგვის წესით საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციისთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, უძრავი ქონების გადაცემის შესახებ განკარგულების პროექტი კომისიას სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ წარუდგინა.

გურამ ოქროპირიძე - აღნიშნული პროექტის თანახმად ა(ა)იპ - საქართველოს ძიუდოს ეროვნულ ფედერაციას გადაეცემა გურამიშვილის გამზ. N15-ში, მე-6 სართულზე არსებული 2449.77 კვ.მ. ფართიდან 600.9 კვ.მ. ფართი უსასყიდლო უზუფრუქტის წესით, **30 წლის ვადით,** ძიუდოს სპორტული ობიექტის (საჭიდაო დარბაზი) მოწყობის მიზნით. ფედერაცია, ერთი წლის ვადაში, უზრუნველყოფს არანაკლებ **150 000** (ას ორმოცდაათი ათასი) ლარის ოდენობის ინვესტიციის განხორციელებას, რომელიც მიმართული იქნება ფართის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩასატარებლად სპორტული ობიექტის - ძიუდოს დარბაზის გამართვისთვის. აღსანიშნავია, რომ ფართი გახლავთ თბილსერვისი ჯგუფის სარგებლობაში და თავად თბილსერვისი თანახმაა ფედერაციისთვის აღნიშნული მიზნებისთვის ფართის გადაცემაზე.

აზრი გამოთქვეს:

ნინო კვიტაიშვილი - ამ დროისთვის აღნიშნული ფართი რა მიზნებისთვის გამოიყენება და ვის მიერ?

გურამ ოქროპირიძე - აღნიშნულ ფართს მთლიანად იკავებს თბილსერვის ჯგუფი, უბრალოდ შიდა სივრცის 600 კვადრატულ მეტრზე, რომელიც ამორტიზირებული და სარემონტოა, ეთმობა ძიუდოს ფედერაციას, საჭიდაო დარბაზის კეთილმოწყობის მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

,,ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზირი N15-ში, მე-6 სართულზე არსებული 2449.77 კვ.მ. ფართიდან (საკადასტრო კოდი: N01.12.09.021.005.01.502) 600.9 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით ა(ა)იპ - საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციისთვის (ს/ნ: 204889282) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ" საკითხი,

მომხრე - გურამ ოქროპირიძე, გივი ჩხარტიშვილი, ვლადიმერ ბოჟაძე, ნინო კვიტაიშვილი - (4),

წინააღმდეგი - (0),

თავი შეიკავა - (0).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა:

,,ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზირი N15-ში, მე-6 სართულზე არსებული 2449.77 კვ.მ. ფართიდან (საკადასტრო კოდი: N01.12.09.021.005.01.502) 600.9 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით ა(ა)იპ - საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციისთვის (ს/ნ: 204889282) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გურამ ოქროპირიძე